სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

30 **მაისი, 2024 წელი**

ბრძანება № 01-02/71

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიორგი დობორჯგინიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **გიორგი დობორჯგინიძის** დოქტორანტურაში გარე მობილობით ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის № 01-08/42 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 ივლისის №06-01/79 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (27.05.2024, ოქმი N 22-20/2) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 24 0000592720, 29.05.2024წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ისტორიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **გიორგი დობორჯგინიძის** სადისერტაციო ნაშრომის „ბიპოლარული სისტემის მსხვრევა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სამხედრო დოქტრინის რევიზია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე“ საჯარო დაცვა დაინიშნოს **2024 წლის 12 ივნისს, 17:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ისტორიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ემზარ მაკარაძე -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი **(მდივანი)**;

2.3. იზოლდა ბელთაძე - ბსუ-ს პროფესორი;

2.4. კახაბერ სურგულაძე-ბსუ-ს პროფესორი;

2.5. ზაზა შაშიკაძე - ბსუ-ს პროფესორი;

2.6. ჯემალ კარალიძე-ბსუ-ს პროფესორი;

2.7. ოთარ გოგოლიშვილი- ბსუ-ს პროფესორი;

2.8. მანუჩარ ლორია -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. რევაზ დიასამიძე-ბსუ-ს ისტორიის აკადემიური დოქტორი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**